`მე, იმერელი სიმონ კირვალიძე, გაძლევთ ამ გუჯარს თქვენ ეშიკაღასბაშ რევაზ ანდრონიკაშვილს და ძმისშვილსა თქვენსა მალხაზს (ანდრონიკაშვილი), მასზედ რომ - ჩემი წინაპრები მოსულან და ფხოველს (სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში, არაშენდას თემში) დასახლდნენ. და მე მდივან ქაიხოსროს (ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი: ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო მოღვაწე, მდივანბეგი, დიპლომატი და მწერალი. გარდაიცვალა 1792 წელს) ვეყმე. შემდგომ ჩემსა და გლეხ მედულაშვილს შორის მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც მე ის შემომაკვდა. ხელმწიფე განაწყენდა. შემიპყრო, ბორკილი დამადო, ციხეში ჩამაგდო და მიწისა პირიდან აღგვა მომინდომა. მაგრამ თქვენი შუამდგომლობით მეფემ შეწყალება მიბოძა. მსაჯულებმა კი გარდაცვლილის სასარგებლოდ 240 თეთრის გადახდა დამაკისრეს. მე ამ საფასის გადახდის თავი არა მქონდა და ეს თანხა თქვენ გადაიხადეთ. მე კი ამისა სანაცვლოდ ჩემი თავი სამუდამოდ თქვენთვის ყმა-გლეხად მომიცია.~ 1793 წ. ამოღებულია არქივიდან